

# "ოკუპაციის გამო ჩვენს მოქალაქეებს საშუალება არ აქვთ თავიანთი წინაპრების საფრავზე სანთელი დაანთონ"



საქართველოს პრემიერ-მინისტრმა პარლამენტში, საქართველოს ევროპის საბჭოში განეზრინების 20 წლის იუბილისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას ოკუპაციაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ჯერ არსებობენ ძალები, რომლებიც ყვედანაირად ცდილობენ საქართველოს წინსვლის შეჩერებას.

*„რუსეთის ფედერაცია აგრძელებს საქართველოს ტერიტორიის 20%-ის ოკუპაციას. ეს არის ჩვენი ყველაზე მტკივნეული გამოწვევა. ეს არის მტკივნეული გამოწვევა მათ შორის ევროპის საბჭოსთვის.“*

ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული სიტუაცია არის უმწვავესი ხარისხის ჰუმანიტარული კატასტროფა. ოკუპაციამდელ პერიოდთან შედარებით, 5-ჯერ არის შემცირებული მოსახლეობის რაოდენობა ოკუპირებულ ტერიტორიებზე. ყოველდღე ჩვენ ვხედავთ ადამიანის უფრებების უხეშ დარღვევებს, ეთნიკურ ნიადაგზე მოსახლეობის დისკრიმინაციას.

ქრისტიანული სამყარო ამ დღეებში აღნიშნავს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს, ჩვენს მოქალაქეებს კი, იმის საშუალებაც არ აქვთ, რომ თავიანთი წინაპრების საფრავზე მივიღწენ და სანთელი დაანთონ.

გრძელება გატაცების, არაადამიანური და სასტიკი მოპყრობის,

წამების და მკვდრელობის ფაქტები. სწორედ ამ არაადამიანური და სასტიკი მოპყრობის მსხვერპლნი გახდნენ ჩვენი მოქალაქეები – გიგათხობორია, არჩილ ტატუნაშვილი და დავით ბაშარული. რამდენიმე კვირის წინ მოხდა კიდევ ერთი შემზარავი ტრაგედია, როდესაც გარდაიცვალა უკანონოდ დაკავებული ჩვენი მოქალაქე – ირაკლი კვარაცხელია“, – განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

მისი თქმით, ამ და სხვა სასტიკი დანაშაულების საფუძველზე შეიქმნა „ოთხობორია-ტატუნაშვილის სია“, რომელშიც ჩაინერა ამ დანაშაულების ჩამდენი პირების გვარები.

*„ევროპის საბჭოს მთავარი ღირებულება არის ადამიანის უფლებების დაცვა. ამ სიის ფიგურანტებს საერთაშორისო სამართლით მოეთხოვთ პასუხი და ჩვენ ამისთვის ყველაფერს გავაკეთებთ.“*

*ჩვენი მთავარი საბრუნავი, მთავარი ამოცანა, რომელიც დგას ქართული სახელმწიფოს წინაშე, არის ქვეყნის დეოკუპაცია და ადამიანის უფლებების დაცვის უმაღლესი სტანდარტის გავრცელება საქართველოს მთელს ტერიტორიაზე. საქართველოს ოკუპაციას ჩვენ არასოდეს შევეგუებით და დარწმუნებული ვარ, არ შეეგუება არც საერთაშორისო თანამეგობრობა.*

*მიუხედავად ამ უსამართლობისა, ქაღბატონო პრემიერენტო, ჩვენი პასუხი ამ გამონევევებზე არის მხოლოდ მშვიდობა და საქართველოს განვითარება. სწორედ ამიტომ, ჩვენ წარმოვადგინეთ სამშვიდობო ინიციატივა, სახელიად – „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ და დიდი მადლობა ამ ინიციატივის მხარდაჭერისთვის, რომლის მიზანია სწორედ ის, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ მოსახლეობას მივცეთ წვდომა ჯანდაცვისა და განათლების სერვისებზე, შევუქმნათ მათ პირობები ედემენტარული კომერციული საქმიანობისთვის, საკუთარი ოჯახების გამოკვებისა და ფიზიკური გადარჩენისთვის“, – მიმართა პრემიერმა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრემიერენტ დიდიან მორი პასკიეს, რომელიც პარლამენტში სხდომას ესწრება.*

პრემიერმა ქვეყანაში დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარების საკითხზეც გაამახვილა ყურადღება.

„დღეს საქართველოში ჩვენ ვქმნით ქვეყანას, რომელიც ეყრდნობა ძლიერ დემოკრატიულ ინსტიტუტებს, თავისუფარ და თანამედროვე ეკონომიკას, რომლის საგარეო პოლიტიკა უზრუნველყოფს საქართველოს ღირსეულ ადგილს საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში.

ჩვენთვის ადამიანი, მისი უფრებები და მასზე ზრუნვა ყოველთვის იყო, არის და იქნება ნომერ პირველი პრიორიტეტი.

ჩვენთვის ადამიანური კაპიტალის შექმნა არის განსაკუთრებული ამოცანა. სწორედ ამ მიზნით ამ დღეებში საქართველოს პარლამენტში იხილება საქართველოს მთავრობის ინიციატივა, რომლის მიხედვითაც ჩვენი მთლიანი შიდა პროდუქტის 6%, რომელიც ფაქტობრივად ჩვენი ბიუჯეტის მეოთხედია, საქართველოში განათლებას, ახადგაზრდობას, ადამიანური კაპიტალის განვითარებას მოხმარდება. ჩვენ გვწამს, რომ ძლიერი ქართული სახელმწიფო და ძლიერი ქართული დემოკრატია უნდა ეყრდნობოდეს განათლებულ და ძლიერ საზოგადოებას.

ჩვენ გავაგრძელებთ ჩვენი დემოკრატიის კონსოლიდაციისა და ტრანსფორმაციის პროცესს და საქართველო მუდამ იქნება ჩვენი საერთო ფასეულობების ერთგული.

ამის ნათელი მაგარი თი გახდავთ შარშან, ნოემბერში საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ახალი კონსტიტუციის ძალაში შესვლა, რომლის მიხედვითაც საქართველო გახდა სრულფასოვანი საპარლამენტო დემოკრატია და საქართველოს პარლამენტს მიენიჭა სრულიად განსაკუთრებული ფუნქციები“, – განაცხადა მამუკა ბახტაძემ.